ბრძანება:**ბ34.34220645**

თარიღი:**05/03/2022**

მცხეთის მუნიციპალიტეტის **2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს:

ა) მცხეთის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა დანართი 1 - ის შესაბამისად;

ბ) 2022 - 2023 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2 - ის შესაბამისად;

გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები მე-3-6 დანართების შესაბამისად.

2. დაევალოს საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი 2) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;

ბ) მცხეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების ნუსხა;

ბ) კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის;

გ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;

დ) რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომაობასთან დაკავშირებით;

ე) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები მე-7-8 დანართის შესაბამისად.

3. საფინანსო სამსახურმა, ადმინისტრაცულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასათან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

4. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან 1(ერთი) თვის

ვადაში (მისამართი: ქ.მცხეთა, სამხედროს ქ.N17).

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი